განკარგულება:**გ-31. 3124058001**
თარიღი:**27/02/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

2024 წლის 27 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 მომართვის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფოს (შემდგომში მის მიერ, მოთხოვნილი ქონების სსიპ ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით) უსასყიდლოდ გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, ელექროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353);

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, 20.00 კვ.მ. დამატებითი კატეგორიის (,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ” სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 სექტემბრის N1/1-5328 ბრძანება) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.09.41.139);

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონება, კერძოდ 3 ცალი КТП -40-10/0.4 კვ-იანი და ერთი ცალი КТП-100-10/0.4 კვ-იანი კომპლექტური ტრანსფორმატორები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი